

## თარგმანები ქართულიდან ინგლისურად

კვლევა განხორციელდა Next Page Foundation-ის მიერ Book Platform-ის პროექტის ფარგლებში

ანა ჭელიძე<sup>1</sup>

ინგლისურიდან თარგმნა სოფო ბუჯიაშვილმა<sup>2</sup>  
2012

---

<sup>1</sup> ანა ჭელიძე ქართველი კურატორი და კატალოგიზატორია ბრიტანულ ბიბლიოთეკაში, გაერთიანებული სამეფო

<sup>2</sup> სოფო ბუჯიაშვილი - ინგლისური და შვედური ენების მთარგმნელი.

## შესავალი

ვინაიდან ნაშრომების ძალიან მცირე რაოდენობა [43] არის ნათარგმნი ქართულიდან ინგლისურად გამოქვეყნებული ინგლისში 1866 წლიდან 2011 წლამდე, შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა და მათი ბიბლიოგრაფიის წარმოდგენა.

### 1. ინგლისელი მეცნიერების ნაშრომები

ძირითადად ლინგვისტები და ისტორიკოსები, ქართველოლოგები (მაგ. ოლივერ და მარჯორი ვარდროპი, დევიდ მარშალ ლენგი, დონალდ რეიფილდი და სხვ) არიან ის ადამიანები, ვინც სიღრმისეულად იკვლევდა ქართულ ენასა და კულტურას და თარგმნა ღირებული ტექსტები ქართულიდან ინგლისურად მათი მეცნიერულ თუ კულტურული კვლევასთან დაკავშირებით.

### 2. ქართველი მეცნიერების ინგლისურად ნათარგმნი ნაშრომები

ცნობილი და საერთაშორისო აღიარების მქონე ხელოვნების ისტორიკოსები (მაგ. შალვა ამირანაშვილი და ვახტანგ ბერიძე), რომელთა ნაშრომებიც ნათარგმნი იყო ინგლისურად გერმანული და რუსული ენებიდან.

### 3. ცალკეული ავტორები და მთარგმნელები

რომლებმაც ცადეს ქართული კულტურის ან საკუთარი ნაშრომის პოპულარიზაცია.

თარგმანები ქართულიდან ინგლისურად გამოქვეყნებული 1866დან 2011-მდე.

#### მიმოხილვა.

ევროპულ ინტერესს ქართული ლიტერატურისადმი და ენისადმი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. 17-ე საუკუნიდან ქართული თემა თანდათან შევიდა ევროპულ ლიტერატურაში. კლასიკური ლეგენდა (არგონავტების ამბავი), ისტორიული წყაროები (ტაციტუსის „ანალი“), არსებული ტრადიციები და ამბები საქართველოს შესახებ, რომლებიც ჯვაროსნებმა და ევროპელმა მოგზაურებმა ჩაიტანეს თანდათან გახდა ევროპელი ავტორების ნაშრომების თემები. პერიოდულად აღმოსავლური წარმომავლობის ზღაპრული თემები მისტიური ხდება და შინაარსის განვითარება გადადის საქართველოში.

ქართული ლიტერატურის მეცნიერული კვლევები ევროპაში მე-19 საუკუნიდან დაიწყო. ეს ძირითადად დაკავშირებული იყო ზოგადად აზიის მიმართ არსებულ

აკადემიურ ინტერესთან, რომელიც გამოიხატა აზიური საზოგადოების (*Société Asiatique*) დაფუძნებით საფრანგეთში 1822 წელს, რომელიც გამოსცემდა ყოველთვიურ „აზიურ ჟურნალს“ (*Journal Asiatique*). ჟურნალში ხშირად ქვეყნდებოდა მასალები საქართველოს შესახებ. 1825 წელს მ. ბროსე (1802-1880) ამ საზოგადოების წევრად აირჩიეს. ევროპასა და რუსეთში სამეცნიერო კვლევების დაწყება ქართველოლოგიაში დაკავშირებულია მის სახელთან [ქართველოლოგია ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროა, რომელიც შეისწავლის ქართულ ისტორიას, ენას, რელიგიას და კულტურას. ტერმინი, ვიწრო გაგებით, ძირითადად აღნიშნავს საქართველოს ფარგლებს გარეთ განხორციელებულ კვლევით საქმიანობას ამ პრობლემებზე].

ბროსეს სამეცნიერო საკვლევი თემა ძველი ქართული საერო ლიტერატურა იყო. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ის იყო ვეფხისტყაოსნის პირველი ევროპელი მკვლევარი, რომელმაც წარუდგინა ვეფხისტყაოსნის შინაარსი ევროპას და შეაფასა რუსთაველის პოემა, როგორც ევროპული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება. ის პოემის არა მხოლოდ პოპულარიზაციით იყო დაკავებული, არამედ გამოსცა მისი ქართული ტექსტი. ვეფხისტყაოსნის გარდა, ბროსე სწავლობდა ქართული კლასიციზმის პერიოდის სხვა ლიტერატურულ ნაშრომებს, უდებდა რა საფუძველს ქართული ლიტერატურის ევროპული ლიტერატურის კონტექსტში შესწავლას.

ბრიტანეთში სამეცნიერო ინტერესი ქართველოლოგიაში გაჩნდა ქართველი მკვლევარების ნაშრომების თარგმანებთან ერთად და ეს იყო დაკავშირებული ს. კ. მალანის სახელთან. ამას წინ უსწრებდა ლონდონში მე-19 საუკუნის დასაწყისში დაფუძნებული ბიბლიური საზოგადოების საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობდა ქართული ხელნაწერების შესწავლას. 1823 წელს აზიური საზოგადოება დაფუძნდა ლონდონში, რომელიც თავის მხრივ დაინტერესდა ქართული ლიტერატურით. 1830 წელს ბრიტანულმა მუზეუმმა მოიპოვა მისი პირველი ქართული მანუსკრიპტი.

ინგლისელი და-ძმის, ოლივერ და მარჯორი ვარდროპის საქმიანობას ქართული ლიტერატურის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯონ ოლივერ ვორდროპი (1864-1948 წწ) დიპლომატი და ბრიტანეთის ელჩი რუსეთში, დაინტერესდა ქართული კულტურით. მარჯორი სკოტ ვორდროპი (1869-1909 წწ) იზიარებდა მის სიყვარულს საქართველოსადმი. ვორდროპებმა შეისწავლეს ქართული ენა, იმოგზაურეს რამდენჯერმე საქართველოში, ახლოს გაიცნეს ქართველი ხალხი და ინტელიგენცია და დაუმეგობრდნენ მის საუკეთესო წარმომადგენლებს. 1888 წელს ო. ვორდროპმა გამოაქვეყნა წიგნი „საქართველოს სამეფო“ ლონდონში, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბრიტანეთში

საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში. მან თარგმნა და გამოაქვეყნა რამდენიმე ქართული ლიტერატურული ნაწარმოები ლონდონში. მარჯორი ვორდროპი თავისი ძმის კვალს გაჰყვა. ვეფხისტყაოსნის მისი თარგმანი 1912 წელს გამოიცა ლონდონში, მას ოლივერ ვორდროპის შენიშვნები ახლდა და შეასრულა განსაკუთრებული როლი ვეფხისტყაოსნის არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მსოფლიოში პოპულარიზაციაში.

1909 წელს ნ. მარმა გამოაქვეყნა მე-7 საუკუნის ბიზანტიელი მწერლის, ანტიოქ სტრატეგოსის ნაშრომის „იერუსალიმის დაპყრობის“ (რუსულად, *Тексты и разискания...* წიგნი IX, სანკტ პეტერბურგი, 1909 წ) რუსული თარგმანი, თარგმნილი არაბულიდან ქართულ ენაზე მე-10 საუკუნეში და შემონახული ქართულ მანუსკრიპტებში. 1910 წელს იგივე ნაშრომის ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა ლონდონში ფ. კონიბეარის მიერ.

ქართული სასულიერო ლიტერატურის კვლევა თანდათან დაუკავშირდა შუა საუკუნეებისა და ბიზანტიურ კვლევებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილმა ინგლისელმა არმენოლოგმა, ფ.კ. კონიბეარმა (1856-1924 წწ) დაიწყო ქართული სასულიერო ლიტერატურის კვლევა. ვორდროპებთან მეგობრობა და საქართველოში მოგზაურობა დაეხმარა ქართული ენის სწავლაში. 1896 წელს მან გამოაქვეყნა ორი კვლევა ორ კარდინალურ პრობლემაზე ქართულ სასულიერო ლიტერატურაში: ქართული ახალი აღთქმის პირველი რედაქციის წარმომავლობა და „ბალავარიანის“ ქართული რედაქცია. ამას მოჰყვა ათონის მთის მანუსკრიპტების კვლევა და ბიზანტიური ლიტერატურული ნაწარმოები ქართული რედაქციების ინგლისურ ენაზე თარგმანის გამოქვეყნება.

1932 წელს ვილიამ ედვარდ ალენის მონოგრაფია „ქართველი ხალხის ისტორია“ გამოიცა ლონდონში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბრიტანეთში ქართველოლოგიის ახალი ეტაპის ჩამოყალიბებას. ალენის სამუშაო განაგრძო დევიდ მარშალ ლენგმა. ეს ყველაზე პროდუქტიული ქართველოლოგი ბრიტანელ მკვლევარებს შორის, დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა კავკასიური კვლევების დეპარტამენტს ლონდონის უნივერსიტეტში, ასწავლიდა ქართულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას. ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი მრავალრიცხოვანი კვლევები ქართული ბალავარიანის გარშემო არსებულ შეკითხვებზე. ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანებს, ქართული ჰაგიოგრაფიული ნაშრომების შემოკლებულ ინგლისურ თარგმანებს შორის აღსანიშნავია ბალავარიანის ორივე ქართული რედაქციის ზუსტი სამეცნიერო თარგმანი.

თარგმანები ქართულიდან ინგლისურად

1935-1937 წლებში ლონდონში, ინგლისი, გამოდიოდა ჟურნალი „Georgica“. გამოვიდა მხოლოდ სამი ტომი 5 ნაწილად, რომელიც გამოქვეყნდა ქართული ისტორიული საზოგადოების მიერ. ჟურნალი ეხებოდა ქართული და კავკასიურ კვლევებს, რაც აღნიშნული იყო მის ქვესათაურში „საქართველო, ქართული და კავკასიური კვლევების ჟურნალი“. მასში მოცემული იყო ნაშრომები ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში არსებულ პრობლემებზე, ძირითადად „ვეფხისტყაოსანზე“.

საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რამდენიმე ქართული დასახელება ასევე ითარგმნა ინგლისურად რუსულიდან საბჭოთა ცხოვრების სტილისა და მისი მულტიკულტურული საზოგადოების პოპულარიზაციისათვის. მათი უმრავლესობა გამოქვეყნდა მოსკოვში და გავრცელდა ლონდონში Central Books-ის საშუალებით. მსგავსი გამოცემები მომზადდა ასევე Soviet Booklets-ის მიერ ლონდონში.

1970-იანებსა და 1980-იანებში ინგლისურად ითარგმნა გერმანულიდან და რუსულიდან ცნობილი და ხელოვნების საერთაშორისოდ აღიარებული ისტორიკოსების, შალვა ამირანაშვილის, რუსუდან მეფისაშვილისა და ვახტანგ ბერიძის წიგნები ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ.

1970-იანებში ინგლისელმა მკითხველმა მიიღო ვეფხისტყაოსნის 2 ახალი თარგმანი. მათგან ერთი ინგლისელი ავტორისა და ცნობილი ქართველოლოგის, ქეტრინ ვივიანისაა. მან ასევე ითარგმნა მონაკვეთები ქართლის ცხოვრებიდან და სულხან-საბას სიბრძნე-სიცრუისა. ის აქვეყნებს კვლევას რუსთაველის პოემაზე და ზოგადად, ქართული საერო ლიტერატურის კლასიკური პერიოდზე.

1991 წელს საქართველო მსოფლიო რუკაზე ჩნდება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა.

გაიხსნა რა ახალი შესაძლებლობებისათვის, საქართველო ცდილობდა წარედგინა თავისი კულტურა და პოპულარიზაცია გაეწია მისთვის. ინგლისურ გამოცემებში ქართველი მთარგმნელების ნაშრომებმა დაიწყო გამოჩენა და მათი რაოდენობა იზრდებოდა.

ამავდროულად, უკვე ჩამოყალიბებული ინგლისელი მეცნიერები აგრძელებდნენ მუშაობას ქართველოლოგიაში. 1997 წელს გამოქვეყნდა ნიკოლას ევდის და თეა ხითარიშვილის ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული და ფრაზეოლოგიის ლექსიკონები, რომელსაც მოჰყვა დონალდ რეიფილდის სრული ქართულ-

ინგლისური ლექსიკონი 2006 წელს. 1990-იანებში ასევე გამოიცა რამდენიმე სხვა გრამატიკის წიგნი და სახელმძღვანელოები.

ინგლისელი მკვლევარი, დონალდ რეიფილდი აგრძელებს ქართული ლიტერატურის შესწავლას. მან თარგმნა თავისი კომენტარები, თანამედროვე ქართველი პოეტები და ასევე გამოიკვლია ქართველი სიმბოლისტების ცხოვრება და ნაშრომები. მისი მნიშვნელოვანი ნაშრომი „საქართველოს ლიტერატურა: ისტორია“ პირველად 1994 წელს გამოჩნდა, რომელსაც მოჰყვა მეორე და მესამე გამოცემები 2000 და 2010 წლებში.

### **გამომცემლები**

გამომცემლებს შორის, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქართული თარგმანებისათვის, რამდენიმეა, რომელიც სპეციალიზდება აღმოსავლეთმცოდნეობასა და აზიის კვლევაზე.

**Oxford University Press** განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბოდლეიანის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტში არსებული ქართული ქიგნებისა და ხელნაწერების კოლექციის გამო და ასევე, როგორც ქართული მასალების ერთ-ერთი გამომცემელი ინგლისში.

**აღმოსავლური და აფრიკული კვლევების სკოლა, ლონდონის უნივერსიტეტი [SOAS]** კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ადგილია, რომელიც ისტორიულად არის დაკავშირებული ქართველოლოგიასთან.

SOAS-ის გრიფით სკოლამ გამოსცა მრავალი აკადემიური წიგნი და მონოგრაფია, რომლებმაც წვლილი შეიტანა აზიური და აფრიკული ენის, კულტურის, ისტორიის, რელიგიისა და ლიტერატურის ცოდნაში.

**Bennett & Bloom** არის გამომცემელი წიგნებისა, რომელიც აკავშირებს კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებსა და კულტურებს.

**Curzon Press, Richmond Publishers** სთავაზობს მთარგმნელ მეცნიერებს და ინტერკულტურულ მკვლევარებს, ისევე როგორც მკვლევარებსა და მასწავლებლებს მონათესავე დისციპლინებში სრულყოფილ რესურსებს.

**Routledge** აწვდის მკვლევარებს, პროფესიონალებს, ლექტორებს და სტუდენტებს წიგნებს, ჟურნალებს, ელექტრონულ პროდუქტებს, რესურსებს და ინფორმაციას ევროპული და აზიური კვლევების შესახებ. ასევე გამოსცემს წიგნებს

თარგმანები ქართულიდან ინგლისურად

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და ამ საკვლევ სფეროს სხვა პროფესიულ საგნებში.